

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

2020 წლის საქმიანობის ანგარიში

1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) არის წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული (არასამთავრობო, არაკომერციული) ორგანიზაცია. ბაფი შეიქმნა 1998 წლის 5 მაისს, საქართველოს ბუღალტერთა კლუბისა და ბუღალტერთა ასოციაციის გაერთიანების შედეგად. ბაფი არის საქართველოს ბუღალტერთა კლუბის (დაფუძნდა 1996 წელს) სამართალმემკვიდრე.

ბაფის მისია

საინვესტიციო ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრებით.

ორგანიზაციის მიზნები:

წევრების მაღალკვალიფიციური დონის მიღწევა და შენარჩუნება, საზოგადოებისათვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით; ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, ფინანსური ანგარიშგების სანდოობისა და ხარისხის უზრუნველყოფით. მიზნის მისაღწევად მისი მთავარი ამოცანაა:

- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისად, ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების სრულყოფილ მიღებასა და მაღალი ხარისხით დანერგვას, ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვას, ასევე მოკვლევისა და დისციპლინარული სისტემების დამკვიდრებას;
- ბუღალტრებისა და აუდიტორების პროფესიული განვითარება და სერტიფიცირების სისტემების, მომავლის მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა;
- ჩვენი გლობალური პროფესიის სახელით საჯაროდ აზრის გამოთქმა და სათანადო საკანონმდებლო ბაზის ლობირება.

ბაფის წევრები

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს წარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირები. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაფის წევრია 5762 ფიზიკური პირი და 54 აუდიტორული კომპანია, რომლებსაც საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ბაზრის 85 პროცენტზე მეტი უჭირავთ. საქმიანობისა და წევრობის არეალი მოიცავს საქართველოს რეგიონებსა და რაიონებს.

ძირითადი საქმიანობა:

- ✓ ფიზიკური პირი წევრების პროფესიული გადამზადება, სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება; დისციპლინარული მოკვლევა და მონიტორინგი წევრების მიერ პროფესიული ეთიკის დაცვაზე;

- ✓ კორპორაციული წევრების (აუდიტური კომპანიები) მომსახურების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა; მომსახურების ხარისხის მონიტორინგისათვის წევრი კომპანიებისათვის წინასწარი დიაგნოსტიკური ანგარიშების მომზადება;
- ✓ წევრების საკონსულტაციო მომსახურება; პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურით წევრების უზრუნველყოფა; პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ლობირება; ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

შვილობილი კომპანიები:

- ✓ შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი;
- ✓ შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა“.

ორგანიზაციული სტრუქტურა:

საერთო კრება–გამგეობა–კომიტეტები - აღმასრულებელი დირექცია–ფილიალები.

ფილიალები: აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქართლი, კახეთი, ფოთი, რუსთავი.

კომიტეტები: განათლების კომიტეტი, სტანდარტების კომიტეტი, აუდიტის ხარისხის კომიტეტი, საგადასახადო კომიტეტი, საწევრო კომიტეტი, ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი.

აღიარება და რეპუტაცია:

- ბაფი 1999 წლიდან აღიარებულია აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციად და მონაწილეობს პროფესიის რეგულირებაში, კანონმდებლობის შესაბამისად;
- 1998 წლიდან თანამშრომლობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთან ფასს-ების ქართულ ენაზე თარგმნის სფეროში;
- 2000 წლიდან არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი;
- 2003 წლიდან, ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საერთაშორისო პროგრამის ადაპტირებული ქართული პროგრამის საფუძველზე, ახორციელებს პროფესიულ სერტიფიცირებას;
- 2006 წლიდან ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა აკრედიტებულია ACCA - ის მიერ;
- 2012-2016 წლებში მოქმედი კანონმდებლობით წარმოადგენდა პროფესიის მარეგულირებელ ორგანიზაციას და ახორციელებდა აუდიტური კომპანიების პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის მონიტორინგს;
- 2016 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობით, მონაწილეობს პროფესიის რეგულირებაში და არის საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების განმახორციელებელი ერთადერთი საგამოცდო ცენტრი.

მიმდინარე ეტაპზე, ბაფი აქტიურად თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან: ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC); ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA); აზიის განვითარების ბანკი; ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (ICAEW); მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრი (CFRR). აგრეთვე, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, აკადემიურ სექტორთან.

ბაფის სტაბილურობის, აღიარებისა და იმიჯის წყაროა მისი წევრების სიმრავლე, პროფესიონალიზმი, კოლეგიალური დამოკიდებულება, პროფესიული ღირსება და ეთიკური ქცევა. ბაფის წარმატებებში მნიშვნელოვანია მისი პარტნიორების წვლილი.

1998-2020 წლებში საქმიანობის რეზიუმე

ბაფის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით:

- მიღებულ იქნა საქართველოს კანონი: „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (1999 წელი) და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (2012 წელი);
- დაფუძნდა პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი (სასწავლო ცენტრი) და ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ჩამოყალიბდა სპეციალისტთა გადამზადებისა და განგრძობითი სწავლების სისტემა და დამკვიდრდა პროფესიული სერტიფიცირება;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებულ იქნა საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად;
- პერიოდულად ითარგმნებოდა და გამოიცემოდა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. მზადდებოდა და გამოიცემოდა მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა;
- დაფუძნდა ბუღალტერთა და აუდიტორთა რეგიონალური ფედერაცია „ევრაზია“;
- ჩატარდა 12 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;
- მომზადდა და ნორმატიული აქტების სახით გამოიცა მცირე ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტები (2004 წელი) და არაკომერციული იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი (2006 წელი);
- ითარგმნა და გამოიცა: მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (2014 წელი); მომსახურების ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი და მისი გამოყენების სახელმძღვანელოები (2014-16 წელი);

- პერიოდულად გამოიცემოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით გადამზადდა 30000-ზე მეტი ბუღალტერი;
- მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობდა 2500-მდე პირი;
- პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი მოიპოვა 748 პირმა;
- მიმდინარე ეტაპზე პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობს სერტიფიცირების 11369 კანდიდატი.

2. საანგარიშო პერიოდის (2020 წელი) საქმიანობა

საანგარიშო პერიოდი ბაფის ისტორიაში იყო ერთ-ერთი გამორჩეული წელი, თავისი სირთულეებითა და გამოწვევებით. COVID-19-ის პანდემიამ ცხოვრების ყველა სფეროზე გავლენა იქონია და, თავისთავად, იგი ბაფის საქმიანობასაც შეეხო. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გამოცხადებული შეზღუდვების გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სერტიფიცირების საგამოცდო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ოპერატიულად შემუშავდა შესაბამისი ღონისძიებები და მოხერხდა საგამოცდო პროცესების დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვით ჩატარება, მნიშვნელოვნად შემცირდა გამოცდებზე გამომსვლელი კანდიდატების რაოდენობა. წინა წლებთან შედარებით, მათი რაოდენობა იყო 18-20%-ით ნაკლები. მაგალითისთვის: 2019 წლის საგამოცდო სესიებში მონაწილეობდა 1776 კანდიდატი, ხოლო 2020 წელს გამოცდებზე გამოვიდა 1461 პირი.

ანალოგიური შედეგები იყო სერტიფიცირების პროგრამაში საანგარიშო წელს დარეგისტრირებული კანდიდატების რაოდენობისა და სახელმძღვანელო ლიტერატურის რეალიზაციის სფეროში.

❖ გამგეობის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში გამგეობამ ჩაატარა 10 სხდომა. სხდომებზე, ძირითადად, განხილული და დამტკიცებული იყო: ბაფის საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებები; შიდა ნორმატიული ბაზის სრულყოფის ორგანიზაციული საკითხები; პროფესიაში მიმდინარე აქტუალური საკითხები, კერძოდ:

- დამტკიცდა 2019 წლის საქმიანობის შედეგები, 2020 წლის ბიუჯეტი და შეირჩა აუდიტის (2019) ჩამტარებელი კომპანია;
- დამტკიცდა სავალდებულო განგრძობითი განათლების პროგრამის თემატიკა და შეირჩა სემინარების ჩამტარებელი პირი;
- გადამუშავდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა დებულება ბაფის კომიტეტების შესახებ;
- დამტკიცდა ორწლიანი 2020 – 2021 წლების სამოქმედო გეგმა, შესაბამისი სამოქმედო პროგრამა და გრაფიკები;

- კომიტეტის თავმჯდომარეების და გამგეობის ერთობლივად მუშაობით, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა და დამტკიცდა კომიტეტების დებულებები;
- დასრულდა ბაფის შიდა ნორმატიული ბაზის (დებულებების, წესების) თემატური და სამართლებრივი კუთხით სრულყოფა, დამტკიცება და ვებ გვერდზე განთავსება;
- დაიგეგმა წევრებთან ონლაინ ფორმატში პერიოდული სემინარების ჩატარება 2021 წლისათვის და სემინარების თემატიკის მომზადება დაევალა შესაბამის კომიტეტებს.

გარდა ორგანიზაციული საკითხებისა, გამოვყოფთ:

- ✓ გამგეობის მსჯელობებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონში ცვლილებების პროექტზე“ და შეჯერებული პოზიციის ზედამხედველობის სამსახურთან წარდგენას
- ✓ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის მიერ პროფესიული ორგანიზაციის წევრების გამოკითხვის შედეგებისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ მონიტორინგის ჩატარების პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობასა და პოზიციის დაფიქსირებას
- ✓ ბაფისა და საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის წევრთა მსჯელობას პროფესიაში მიმდინარე პროცესებზე, ერთმანეთს შორის პოზიციების შეჯერებაზე.

❖ განათლება და სერტიფიცირება

ბაფის განათლებისა და სერტიფიცირების პოლიტიკის განმსაზღვრელი, სათანადო რეგულაციების შემქმნელი და მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო არის განათლების კომიტეტი. კომიტეტთან ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი საგამოცდო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. კომისიის ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით. კომისია პასუხისმგებელია სასერტიფიკაციო გამოცდების დაგეგმვის, გამოცდების ჩატარების, საგამოცდო შედეგების საბოლოო ანგარიშის მომზადებაზე და ანგარიშვალდებულია განათლების კომიტეტის წინაშე.

განათლების კომიტეტთან ფუნქციონირებს სტრუქტურული რგოლები:

- ა) განგრძობითი განათლების სამეთვალყურეო საბჭო;
- ბ) სასერტიფიკაციო გამოცდების სამეთვალყურეო საბჭო;
- გ) სასერტიფიკაციო პროგრამის სამეთვალყურეო საბჭო.

განგრძობითი განათლება. ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განგრძობითი განათლების სტანდარტში შეტანილი

ცვლილების საფუძველზე, 2020 წლის სავალდებულო განგრძობითი სწავლება განხორციელდა ორი პროგრამით:

პროგრამა - SARAS-CPD-008/20 აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული პირებისათვის; და

პროგრამა - SARAS-CPD-010/20 სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებული (არააუდიტორი) პირები.

განგრძობითი განათლების სემინარები ჩატარდა 2020 წლის 7 სექტემბრიდან 25 დეკემბრის პერიოდში. პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები მოამზადა და სემინარები ჩატარა შპს „იუაი საქართველომ“. განგრძობითი სწავლების სემინარები ჩატარდა ონლაინ ფორმატით. სემინარის მონაწილეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროგრამის თემატიკა და ჩატარებული სემინარები დადებითადაა შეფასებული.

საანგარიშო პერიოდში, ბაფის წევრ სერტიფიცირებულ ბუღალტერთა და აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული იყო 722 სერტიფიცირებული ბუღალტერი, მათ შორის აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული იყო 325.

2020 წლის სავალდებულო განგრძობითი სწავლებას დაქვემდებარებული წევრებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების მოთხოვნების დადასტურების სტატისტიკა:

აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული პირები (პროგრამა - SARAS-CPD-008/20)

უდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული ბაფის წევრი 325 სერტიფიცირებული პირიდან, 2020 წლის განგრძობითი განათლების პროგრამის მოთხოვნების შესრულება დაადასტურა 323 პირმა, მათ შორის:

- ბაფში განგრძობითი სწავლების სემინარი გაიარა - 284;
- აუდიტორი კომპანიების განგრძობითი სწავლება ჩაეთვალა - 32;
- სხვა პროფესიული ორგანიზაციის განგრძობითი სწავლების სემინარი ჩაეთვალა - 6;
- საანგარიშო პერიოდში განგრძობითი სწავლება არ მოეთხოვებოდა - 1;
- განგრძობითი სწავლების მოთხოვნა ვერ დაადასტურა - 2.

სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებული (არააუდიტორი) პირები

2020 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, ბაფის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებული 397 პირიდან, 2020 წლის განგრძობითი განათლების პროგრამის მოთხოვნების შესრულება დაადასტურა 274 პირმა, მათ შორის:

- აუდიტორებისათვის დადგენილი პროგრამით (SARAS-CPD-008/20) განგრძობითი სწავლების მოთხოვნა დააკმაყოფილა -90 პირმა;
- სერტიფიცირებული ბუღალტრებისთვის დადგენილი პროგრამით (SARAS-CPD-010/20) განგრძობითი სწავლების მოთხოვნა დააკმაყოფილა -184 პირმა

- განგრძობითი სწავლების მოთხოვნა ვერ დაადასტურა - 123 პირმა. აქედან,

განგრძობითი განათლების პროგრამის მოთხოვნების ბოლო 3 წლის განმავლობაში ვერადასტურების გამო, საანგარიშგებო წელს სერტიფიცირებულ პირთა რეესტრიდან ამოღებულია 18 პირი.

პროფესიული სერტიფიცირება. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში სულ რეგისტრირებული იყო სერტიფიცირების 11369 კანდიდატი. მათ შორის, საანგარიშო წელს პროგრამაში ჩაერთო 496 კანდიდატი. გამოცდების შედეგების მიხედვით: პირველი ეტაპის სერტიფიკატი მიიღო - 113 კანდიდატი; მეორე დონის - 27 კანდიდატი; სერტიფიცირება დაასრულა და სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი მიენიჭა 25 კანდიდატს, მათ შორის 21 კანდიდატი სერტიფიცირებულია სრული პროგრამით, 4 - სერტიფიცირების (5 მოდული) პროგრამით. კანონმდებლობის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ქართული ბიზნესსამართალი (F4) და საგადასახადო დაბეგვრა (F6) გამოცდა ჩააბარა და აღიარების სერტიფიკატი მიიღო 6 პირმა. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაფის სერტიფიცირების (ACCA-ის ადაპტირებული ქართულენოვანი) პროგრამით კურსდამთავრებულთა რიცხვი შეადგენს 201 პირს, ხოლო უცხო ქვეყნის სერტიფიცირების პროგრამით სერტიფიცირებულია და ბაფის მიერ აღიარებული 62 პირი, მათ შორის F4 და F6 მოდულის ჩაბარების საფუძველზე 27 პირი.

პროფესიული სერტიფიცირების გამოცდების შედეგების სტატისტიკა (2020 წ.)

მოდული	გავიდა გამოცდაზე	ჩააბარა	ჩაიჭრა	ჩაბარების %
ბუღალტერი ბიზნესში	61	54	7	88%
მმართველობითი აღრიცხვა	136	112	24	82%
ფინანსური აღრიცხვა	230	158	72	68%
ქართული ბიზნესსამართალი	178	153	25	86%
საქმიანობის შედეგების მართვა	87	56	31	64%
საგადასახადო დაბეგვრა	291	281	10	96%
ფინანსური ანგარიშგება	149	90	59	60%
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება	86	77	9	89%
ფინანსური მართვა	58	34	24	58%
კორპ.მართვა, რისკი და ეთიკა	14	9	5	64%
ბიზნესანალიზი	40	32	8	80%
ფინანსური მართვა (უმაღლ. დონე)	26	16	10	61%
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)	29	17	12	58%
საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება	54	26	28	48%
სტრატეგიული ბიზნესლიდერი	22	14	8	63%
ჯამი	1461	1129	332	

სერტიფიცირების პროგრამის განვითარების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში: განახლდა საგამოცდო პროცესებზე სახელმძღვანელო წესები და ინსტრუქციები; შეიქმნა საგამოცდო ტესტების ბანკი 8 საგამოცდო მოდულში; 2019 წლიდან გაიზარდა საგამოცდო ტესტების ავტორების, მიმომხილველებისა და შემფასებლების რაოდენობა, რითიც 2020 წლიდან შესაძლებელი გახდა ყოველ საგამოცდო მოდულში მონაწილეობდეს კითხვების ავტორის, ამავე კითხვების მიმომხილველისა და შემფასებლის გუნდი. მოსალოდნელი რისკის დაზღვევის მიზნით, განახლდა საგამოცდო კითხვებისა და ტესტების გაუთქმელობის და შენახვის წესები. ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2020 წლის ოქტომბრიდან, შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე, მიმდინარეობს სერტიფიცირების პროგრამის მართვის ახალი ონლაინ სისტემის შექმნის სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2021 წლის აპრილამდე პერიოდში.

❖ წევრებთან ურთიერთობა.

ბაფის წესდებისა და კომიტეტების სამოქმედო გეგმების შესაბამისად, საანგარიშო წელს აქტიურად მიმდინარეობდა წევრთა საკონსულტაციო მომსახურებები, როგორც სატელეფონო, ასევე წერილობითი ფორმითა და ჟურნალის „ბუღალტრული აღრიცხვის მეშვეობით. 2020 წლის ივლისიდან, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საკითხებზე, წევრებთან კომუნიკაცია, ძირითადად, ონლაინ რეჟიმში ხორციელდება. საწევრო და განათლების კომიტეტის ხელმძღვანელობითა და ადმინისტრაციის ორგანიზებით, განგრძობითი სწავლებების გარდა, პერმანენტულად ტარდება მიზნობრივი ონლაინ სემინარები - ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის, საგადასახადო დაბეგვრის, პროფესიული ეთიკის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და წევრებისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე.

წევრების სტატისტიკა 2020 წელს:

ფიზიკური პირები. საანგარიშო წელს ბაფის წევრების რეესტრიდან ამოღებული იყო - 1281 პირი, მათ შორის 20 ნამდვილი და 1261 ასოცირებული წევრი. მიღებულ იქნა - 514 ასოცირებული წევრი. ნამდვილი წევრი გახდა 26 სერტიფიცირებული პირი.

კორპორაციული წევრები. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე რეესტრიდან ამოღებული იყო 3 აუდიტური კომპანია, ხოლო გაწევრიანდა 2 კომპანია.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაფის წევრი იყო:

ფიზიკური პირი - 5762 აქედან: სერტიფიცირებული ბუღალტერი - 712, მ.შ. აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული -326; ასოცირებული წევრი - 5050 პირი.

იურიდიული პირი - 54 აუდიტური კომპანია.

❖ აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფის მხარდაჭერა

2016 წლიდან აუდიტორული საქმიანობის რეგულირება და ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების ფუნქცია სრულად გადავიდა „საზედამხედველო სამსახურის“ ფუნქციებში. ამ კუთხით, ბაფის ფუნქციაში რჩება წევრ აუდიტური კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარ მონიტორინგის განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში 5 კორპორაციულ წევრთან განხორციელდა წინასწარი მონიტორინგი და გაიცა „დიაგნოსტიკური ანგარიში“.

მნიშვნელოვანია ბაფის როგორც IFAC-ის წევრი ორგანიზაციისა და ასევე კანონით განსაზღვრული ფუნქცია - წევრებისათვის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებში მხარდაჭერა. ამ კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აუდიტორების სახელმძღვანელო ლიტერატურით უზრუნველყოფა. „ზედამხედველობის სამსახურისა“ და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგი ლიტერატურა:

- აუდიტის პრაქტიკული სახელმძღვანელო (გაერთიანებული სამეფოს აუდიტური კომპანია HAT);
- ელექტრონული გამოცემები;
- მცირე და საშუალო აუდიტური ფირმების საქმიანობის მართვის სახელმძღვანელო 8 - მოდული (IFAC);
- კომპილაციური გარიგების სახელმძღვანელო (IFAC);
- შეთანხმებული პროცედურების გარიგებები (IFAC);
- შეარჩიეთ შესაფერისი მომსახურება - აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციისა და შეთანხმებული პროცედურების მომსახურების შესახებ (IFAC);
- პრაქტიკის ტრანსფორმაციის სამოქმედო გეგმა (IFAC).

ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია პრაქტიკული სწავლებების განხორციელება:

- საანგარიშო პერიოდში მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებისათვის მიმდინარეობდა დისტანციური სწავლების 6 სესიისაგან შემდგარი პრაქტიკული კურსი, HAT-ის აუდიტის სახელმძღვანელოს გამოყენებასთან დაკავშირებით.
- მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მცირე პრაქტიკის მქონე აუდიტური ფირმების პრობლემატიკა კვლავ აქტუალური რჩება და ბაფის ინიციატივით ბოლო პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს ამ ფირმების წარმომადგენლებთან ონლაინ შეკრებები და გზების ძიება მათი სამომავლო განვითარებისათვის.

❖ ეთიკა და დისციპლინარული მოკვლევა

ეთიკა და დისციპლინარული მოკვლევის სფეროში ძირითადი სახელმძღვანელო დებულებაა - „ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი“:

- დამტკიცებულია ბაფის წევრის შეუსაბამო ქცევის ფაქტის განმხილველი კომისიის პოტენციური წევრების შემადგენლობა;
- დამტკიცებულია დისციპლინარული მოკვლევისა და ეთიკის კომიტეტის საბჭოს შემადგენლობა;
- პროფესიონალი ბუღალტრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე შემოვიდა 4 ინფორმაცია რომელთაგან ერთ პირზე დაინიშნა დისციპლინარული მოკვლევა და ჩატარდა შესაბამისი პროცედურები;
- სემინარი ჩატარდა დისციპლინარული მოკვლევის პროცედურებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

❖ საქმიანობის მართვა, ფინანსური შედეგები და ფუნქციონირებადობა

ბაფის მიმდინარე საქმიანობის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი სტრუქტურა. იგი უზრუნველყოფს გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას, ბაფს წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობებში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მართვის სფეროში, ადგენს ბიუჯეტს და ახორციელებს ფინანსურ და ბიზნეს ფუნქციებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად. სრულყოფილი მართვისა და ფუნქციების ხარისხიანად განხორციელების მიზნით, ხელმძღვანელობს გამგეობის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტებით.

საქმიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმებად შეიძლება განვიხილოთ:

- წევრების მხარდაჭერა - კონსულტაციები, პროფესიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, სახელმძღვანელო ლიტერატურით უზრუნველყოფისა და ტრენინგების გზით;
- პროფესიის განვითარების მხარდაჭერა - ზედამხედველობის სამსახურთან, დონორ ორგანიზაციებთან და სხვადასხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობა;
- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ვალდებულების (SMO) შესრულება;

- ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები და ფინანსური სტაბილურობა (ფუნქციონირებადობა).

2020 წელს მომზადდა 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად. საანგარიშგებო პერიოდისათვის დაგეგმილი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა მოცემულია 2020 წლის ბიუჯეტში.

ეს მასალები გამოქვეყნებულია და მისი გაცნობა შესაძლებელია ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები“.

2021 წლის პირველ კვარტალში დასრულდება საანგარიშო წლის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად განთავსდება ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები“.

ინფორმაციის საჯაროობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ საქმიანობის ანგარიშში, ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური საქმიანობის დეტალებს არ მიმოვიხილავთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ საანგარიშგებო წელს განხორციელებული საქმიანობა თანხვედრაშია ბიუჯეტით დაგეგმილთან.

COVID 19-ის გავლენის მიუხედავად, ბაფის ფუნქციონირებას უახლოეს მომავალში საფრთხე არ ემუქრება, რადგან აქვს შესაბამისი ფინანსური რეზერვი, აგრეთვე, ბაფის ფინანსური მდგრადობის მნიშვნელოვანი გარანტიაა წმინდა აქტივების ღირებულება და ლიკვიდობის მაღალი დონე.

❖ დონორებთან თანამშრომლობა

ტრადიციულად, საანგარიშო პერიოდშიც, ბაფი აქტიურად თანამშრომლობდა დონორ ორგანიზაციებთან. გამოვეყოფთ მსოფლიო ბანკთან, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასა და ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტთან (ICAEW) თანამშრომლობას:

- ბაფისათვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერა 2019 წელს. ამ მხარდაჭერით სერტიფიცირების პროგრამის ყველა სახელმძღვანელოს განახლებამ შესაძლებლობა მოგვცა საანგარიშო პერიოდში შეგვენარჩუნებინა ფინანსური სტაბილურობა;
- მსოფლიო ბანკის მიერ ითარგმნა და ბაფის საიტზე განთავსდა არაერთი მასალა მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების დასახმარებლად, COVID-19 პანდემიის პერიოდში;
- მსოფლიო ბანკის / SARAS / EFAA / IFAC-ის მიერ ჩატარდა სხვადასხვა ვებინარები;
- ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (ICAEW) ორგანიზებით, არაერთი პრაქტიკული ტრენინგი ჩატარდა - მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებისათვის.

❖ **ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრობის ვალდებულების შესრულება**

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისად, ყოველწლიურად ხდება სამოქმედო გეგმების რეგულარული განახლება, წევრების შესაბამისობის პროგრამის (SMO) ფარგლებში. IFAC-ის წევრები ატარებენ თვითშეფასებას SMO მოთხოვნების შესაბამისად და ავლენენ იმ სფეროებს, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. შეფასების შედეგების საფუძველზე, წევრები შეიმუშავენ SMO სამოქმედო გეგმას, რათა აჩვენონ, თუ როგორ ასრულებენ ისინი SMO მოთხოვნებს და თუ ზოგიერთი მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, წარმოადგინონ მათი შესრულების გეგმები. წევრობის შესაბამისობის პროგრამის (SMO) მოთხოვნების შესაბამისად, ბაფის 2020—2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოწონებულ იქნა IFAC-ის შესაბამისი სტრუქტურის მიერ, განთავსებულია მათ ვებგვერდზე.

❖ **საერთო (25-ე) კრების მოკლე მიმოხილვა და არჩევნების შედეგები**

2020 წლის 12 დეკემბერს ონლაინ ფორმატში, პროგრამა „ზუმის“ გამოყენებით, გაიმართა საერთო კრება. კრებას ესწრებოდა 251 დელეგატი და მოწვეული სტუმრები. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ, ქალბატონმა რუსუდან ჟორჟოლიანმა.

დელეგატებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს საერთო კრების დღის წესრიგი:

გამგეობის ანგარიში;

სარევიზიო კომისიის ანგარიში;

დისკუსია ანგარიშების ირგვლივ, საქმიანობის შეფასება;

ბაფის დამსახურებული წევრების დაჯილდოება;

გამგეობის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევნები;

სარევიზიო კომისიის არჩევნები;

დისკუსია - პროფესიის გამოწვევები

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, ბაფის საანგარიშო პერიოდის საქმიანობის შესახებ, ანგარიში წარმოადგინა გამგეობის თავმჯდომარემ, ქალბატონმა რუსუდან ჟორჟოლიანმა (ანგარიში გამოქვეყნებულია ბაფის ვებგვერდზე).

ბაფის გამგეობის, კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენებით წარსდგა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მარეხი ტოგონიძე. სარევიზიო კომისიამ ბაფის მიერ საანგარიშგებო პერიოდში ჩატარებული საქმიანობა დადებითად შეაფასა (ანგარიში გამოქვეყნებულია ბაფის ვებგვერდზე და ჟურნალში „ბუღალტრული აღრიცხვა“).

ბაფის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ირგვლივ კრების მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები და გამართეს დისკუსია.

საერთო კრებამ კენჭი უყარა (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 239 დელეგატმა) და უმრავლესობამ დადებითად შეაფასა საანგარიშგებო პერიოდში ბაფის გამგეობისა და მთლიანად ბაფის საქმიანობა (დადებითად - 176, დამაკმაყოფილებელი - 62, უარყოფითად - 1).

დამსახურებული წევრების დაჯილდოება. დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, საერთო კრებამ პროფესიაში გაწეული ღვაწლისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ბაფის წევრები: **გურამ კიკაბიძე** და **ამირან ჯანგიძე** - პროფესიის ერთგულებისა და ბაფთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის; **ლია ცუცქირიძე** - საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის; **ნელი გვენეტაძე** - შიდა ქართლის რეგიონში ბაფის საქმიანობის პოპულარიზაციასა და ბუღალტერთა გადამზადებაში შეტანილი წვლილისათვის.

გამგეობის თავმჯდომარის და გამგეობის წევრების არჩვნები. საერთო კრებამ ბაფის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია რუსუდან ჟორჟოლიანი. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 244 -მა დელეგატმა (მომხრე-218, წინააღმდეგი - 7, თავი შეიკავა -19).

ბაფის წესდებით, გამგეობის წევრების რაოდენობა განსაზღვრულია არაუმეტეს 12 წევრით (მათ შორის ერთი არის გამგეობის თავმჯდომარე). გამგეობის წევრობაზე (11 ასარჩევი პირი) არჩევნებში მონაწილეობის განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 15 პირს, საიდანაც ერთმა (**ლავრენტი ჭუმბურიძე**) არჩევნების დაწყებამდე მოხსნა თავისი კანდიდატურა. ამრიგად, 11 ვაკანტურ ადგილზე კენჭი იყარა 14 კანდიდატმა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე 246-მა დელეგატმა.

ხმათა უმრავლესობით არჩეული ბაფის გამგეობის ახალი შემადგენლობა:

1. პაპიაშვილი დავითი (206 ხმა)
2. ხმალაძე გიორგი (195 ხმა)
3. ებანოიძე ნოდარი (170 ხმა)
4. დათიაშვილი კონსტანტინე (170 ხმა)
5. ფარცხალაძე თეიმურაზი (169 ხმა)
6. ცუხიშვილი თამარი (159 ხმა)
7. ბაკაშვილი ნიკოლოზი (158 ხმა)
8. აბაიაძე მიხეილი (122 ხმა)
9. ნარსია მურადი (111 ხმა)
10. კვინიკაძე გიორგი (109 ხმა)

11. გურაბანიძე მზევინარი (109 ხმა)

სარევიზიო კომისიის არჩევნები. დღის წესრიგის შესაბამისად, დასახელდა სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატები. კომისიის წევრობის კანდიდატად დასახელებულ იქნა 12 პირი, საიდანაც, წესდების შესაბამისად, დელეგატებს უნდა აერჩიათ 3 წევრი. ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობა მიიღო 181-მა დელეგატმა. დასახელებული კანდიდატურებიდან ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა სარევიზიო კომისიის ახალი წევრები:

ბაფის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა: **ჭურაძე მარიამი (თავმჯდომარე) ბარბაქაძე ხათუნა, ბიწაძე მარიამი.**

დისკუსია - პროფესიის გამოწვევები. დისკუსია გაიმართა პროფესიაში არსებული გამოწვევებისა და მასთან მიმართებით, ბაფის გამგეობის მიერ საპასუხო მოქმედებების დაგეგმვის აუცილებლობის შესახებ.

❖ ბაფის სამომავლო სამოქმედო გეგმა

- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში წარდგენილი 2020 – 2021 წლების ბაფის სამოქმედო გეგმის განხორციელება;
- განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის განვითარება და სრულყოფა;
- ბაფის წევრი აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის განვითარებისა და სრულყოფის ხელშეწყობა;
- ბაფის წევრებთან სისტემატური მუშაობა, ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დაცვისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით.

რუსუდან ჟორჟოლიანი

გამგეობის თავმჯდომარე;

ლავრენტი ჭუმბურიძე

აღმასრულებელი დირექტორი